გამარტივებული შესყიდვის საშუალებით
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №37

ქ. თბილისი **03 დეკემბერი 2019 წელი**

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის, ,,ს[1]'' პუნქტის საფუძველზე, დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები.

ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/ნ 205339944), წარმომადგენელი დირექტორი მამია ჯანჯალიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N3 და მეორეს მხრივ, სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ (ს/ნ 202886172) (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი დირექტორის ვასილ მენთეშაშვილის სახით, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, კოტე მარჯანიშვილის ქ. №5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.
1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს (CPV79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება) კერძოდ:

№	CPV	ბეჭდვის დასახელება	აღწერილობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	79800000	პროფესიული დიპლომი	ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ფერადად (შემსყიდველის მიერ მიწოდებული ელექტრონული ფაილის შესაბამისად) მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით. დიპლომი დაბეჭდილი უნდა იყოს A-4 ფორმატის 250 გრამიან ოფსეტურ ქაღალდზე. დიპლომის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით დიპლომის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით. ულტრაიისფერი სხივების ქვეშ დიპლომის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი ლოგო, დიპლომის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას მთელი ზედაპირი დაფარულია დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით; ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო/გერბი) გამოსცემს ლუმინესცენციას;	150	2.2	330
2		სერთიფიკატი	ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ფერადად (შემსყიდველის მიერ მიწოდებული ელექტრონული ფაილის შესაბამისად) მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების დაცვით. სერთიფიკატი დაბეჭდილი უნდა იყოს A-4 ფორმატის 250 გრამიან ოფსეტურ ქაღალდზე. სერთიფიკატის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით სერთიფიკატის მთელი ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით. ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი ლოგო, სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას მთელი ზედაპირი დაფარულია დამცავი (გილოშერული) ბადით, ბადეების სამი სახის ერთდროული გამოყენებით; ულტრაიისფერი სხივების ქვეშ სერტიფიკატის სახიან მხარეზე დასმული ნიშანი (ლოგო/გერბი) გამოსცემს ლუმინესცენციას; სერტიფიკატის სერიისა და ინდივიდუალური ნომრის გამოსახულება გამოსცემს ლუმინესცენციას.	100	2.5	250

2.2 პროფესიული დიპლომისა და სერტიფიკატის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს საბეჭდი ელექტრონული ფაილის მიწოდებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 23 დეკემბერისა.
2.3. პროფესიული დიპლომებისა და სერთიფიკატების ბეჭდვა უნდა განხორციელდეს „მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.
2.4. მიმწოდებელი აკმაყოფილებს „მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2.5. მიმწოდებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ ინფორმაცია მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილის.

2.6. მიმწოდებლის ნებართვა მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილის.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 580.00 (ხუთას ოთხმოცი ლარი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
4.2 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.
4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N3
5.2. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია, წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 პუნქტის 7.2. პუნქტით გათვალისიწინებული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის აქტი.
5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ ლოჯისტიკი იოსებ ჯოლოგუა.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისათვის შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია: მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას „მკაცრი აღრიცხვის ფორმის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისიწნებული მოთხოვნები და განუხლერად შეასრულოს იგი.
6.4. შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების და ხარისხის ინსპექტირება.
7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ კოლეჯის „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემიის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი ნინო ქიტიაშვილი.
7.3. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად შესყიდვის ობიექტის მოცულობის - რაოდენობის, მიწოდების ვადებისა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს.
7.4. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
8.3.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს წინამდებარე სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
9.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო- სამრეწველო პალატის მიერ.
9.4 შემსყიდველისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გასაწევი მომსახურებით შექმნილი საქონლის ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2. შემსყიდველი უფლებამოსულია, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან/და შეუსრულებლობის შემთხვევაში, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.
10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.
10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი დროზე ადრე მოითხოვს ხელშეკრულების შეწყვეტას აღნიშნული განიხილება, როგორც ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოიყენოს ამ მუხლის 10.1 და 10.2 პუნქტებით გათვალისიწნებული პირობები ერთობლიობაში.
10.5. დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ინტერესთა კონფლიქტი

საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში ,,მიმწოდებელთან“.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრი ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ კოლეჯი „ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადემია“ (ს/ნ 205339944) **მისამართი:** თბილისი ფანჯიკიძის №3 სახელმწიფო ხაზინა კოდი:TRESGE22	სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“ ს/კ 202886172 **მისამართი:** ქ. თბილისი, კოტე მარჯანიშვილის ქ. №5 ბანკი: "ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია ბანკის კოდი: UGEBGE22 ანგარიში: GE08VT6600000000323606
დირექტორი	დირექტორი
_____/ მამია ჯანჯალია	_____ / ვასილ მენთეშაშვილი

BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC

Digitally signed by BECHDVITI SITKVIS KOMBINATI JSC
Date: 2019.12.03 16:56:01 +04'00'

ფორმა 4

სახელმწიფო საიდუმლოებასთან სახელმწიფო ორგანოს/იურიდიული პირის დაშვება

ნ ე ბ ა რ თ ვ ა №326

„03“ აპრილი 2017 წ.

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს“
(ს/ნ 202886172)

უფლება აქვს აწარმოოს სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული საქმიანობა

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს“

განესაზღვროს საიდუმლოების რეჟიმი: *„რეჟიმის ობიექტი“*

ნებართვა ძალაშია: „03“ აპრილი 2022 წ.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების
სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის
დირექტორი *ო. კუპრაშვილი*

ინფორმაცია

სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

1. ოფსეტური საბეჭდი ფირფიტების თერმული ტექნოლოგიით დამამზადებელი CTP Heidelberg Suprasetter A74
2. საბეჭდი ფორმების გასამჟღავნებელი დანადგარი UO2286 Kylin 85T
3. საბეჭდი ფორმის სახვრეტის მოწყობილობა Umbosatz A75 Scanzeinheit,
4. ამოსაკვეთი დანადგარი (ალფავიტური და სხვ.) Onglematic 5 A3P+
5. ამოსაკვეთი დანადგარი (კუთხის მოსამრგვალებელი) Onglematis Knife Holder
6. ოფსეტური საბეჭდი მანქანა ADAST Romayor-314
7. ოფსეტური 1-ფერიანი ფურცლოვანი საბეჭდი მანქანა HEIDELBERG MO-E
8. ოფსეტური 4-ფერიანი საბეჭდი მანქანა Heidelberg Printmaster PM52-4
9. უნივერსალური საბეჭდი მანქანა Grafopress GPE
10. ტიგელური საბეჭდი მანქანა ПТ-4
11. ერთდანიანი ქაღალდის საჭრელი მანქანა ADAST MAXIMA MS-80
12. სამდანიანი წიგნის ბლოკის საჭრელი მანქანა ЗБРТ-125/450
13. ერთდანიანი ქაღალდის საჭრელი გილიოტინა Polar 76 EM
14. საბეჭდ-საჭრელი პლოტერი Roland VS-640I
15. დამღარავ-საკეცი მანქანა Morgana Digifold
16. ძაფსაკერი მანქანა БНШ/6
17. ძაფსაკერი მანქანა 381
18. მავთულსაკერი მანქანა БШП-4
19. საპერფორაციო დამღარავი დაზგა УПБ
20. ჩამწყობ-საკერავ-საჭრელი ხაზი Полимат LBW-742
21. საკეცი მანქანა MULTI EFFEKT 2671/3 RSA
22. თერმული აკინძვის მანქანა EUROBIND-300
23. ცივი და ცხელი შეწებების მანქანა RJS-380
24. ლამინატორი YL-FM1055
25. რულონური ლამინატორი SurelamPro500D
26. ზამბარსაკინძი მანქანა WIRE MAC
27. ფურცელამკრეფი მანქანა BOURGSUCTIONTOWER BST-10d
28. მაგარი გარეკანის დასამზადებელი პლანშეტი DC-100K
29. ნუმერატორი და პერფორატორი Morgana FSN
30. ნუმერატორი და პერფორატორი CONTAGOR 470B PLUS
31. კომპიუტერი „ Ventury 4A2447“
32. კომპიუტერი „ P5KPl-AM“
33. მონიტორი HP Pavilion 23xi IPS,
34. მონიტორი HP Z23i IPS
35. პრინტერი HP Lazerjet 5200
36. პრინტერი ფერადი HP Officejet 7000
37. სკანერი Hp Scanjet G3110
38. პრინტერი KONICA MINOLTA C1060L
39. 4-ფერიანი Pad პრინტერი TIC-187SDL (ტამპობეჭდვა)
40. 4-ფერიანი პრინტერი PRO 9431 Multi,

გენერალური დირექტორი

ვასილ მენთეშაშვილი